თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 15

„16“ აგვისტო 2019 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

**გიგა ორკოდაშვილი**

**სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი,** სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღლანიძე,** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი,** საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი,** საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი,** ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი,** ფრაქციის „ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე **ალექსანდრე კუპატაძე,** ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ალექსი ძულიაშვილი.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

<u>გადაწყვიტეს:</u> მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტები საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილდეს შემდეგი სახით:

## საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

## სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ.

## ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე                                                                 გიგა ორკოდაშვილი